განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

**უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება**

სამაგისტრო პროგრამა საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და ჯანდაცვის პოლიტიკა

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება**

შპს საქართველოს უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 10 დეკემბერი, 2019 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 04 მარტი 2020 წელი

თბილისი
2019

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | შპს საქართველოს უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 205037137 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და ჯანდაცვის პოლიტიკა |
| განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის პოლიტიკის მაგისტრი 0919 |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 120 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | აკრედიტებულია 21/01/2015, 10 გადაწყვეტილებით |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | **დავით ჯიქია**<br>თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | **ლელა სტურუა**<br>დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | **ვახტანგ თებიძე**<br>თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

შპს „საქართველოს უნივერსიტეტის" საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება 2006 წლიდან. პროგრამის შექმნა განპირობებული იყო სწრაფად რეფორმირებადი ჯანდაცვის სისტემით, საქართველოში მიმდინარე ჯანდაცვის რეფორმამ წარმოქმნა სათანადო კვლიფიკაციის ადამიანური რესურსის მოთხოვნა: დეფიციტში აღმოჩნდნენ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, მკვლევარები. დღემდე პროგრამის მიერ მომზადებულია საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის პოლიტიკის 51 მაგისტრი, რომლებიც აქტიურად არიან ჩაბმული სხვადასხვა აქტივობაში: კიბოს სკრინინგი, C ჰეპატიტის სკრინინგი და მართვა, ფარმაცეტვული პროდუქტების პოპულაციური კვლევა, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ადამიანური რესურსების კვლევის და მტკიცებულებაზე დაფუძნებული სტრატეგიების ფორმირება, პირის ღრუს ჯანმრთელობა და სხვა საკითხები.

2006 წლიდან დღემდე აღნიშნულმა პროგრამამ, განვითარების მხრივ, განიცადა თვისობრივი ცვლილებები. სწავლების ორგანიზების თვალსაზრით: სწავლების ყოველდღიური ორგანიზაციული მოდელი შეიცვალა საგნობრივი ინტენსიური სწავლების მოდელით. დაინერგა გუნდური სწავლების მეთოდი (ე.წ. Team teaching).გარდა ამისა, პროგრამას ჰქონდა მნიშვნელოვანი პროგრესი ინტერნაციონალიზაციის მიმართულებითაც. პროგრამაში მონაწილე აკადემიური პერსონალი და სტუდენტები მონაწილეობენ საერთაშორისო ფორუმებში. მიმდინარეობს პროგრამის ადაპტირება წარმატებული დასავლური პრაქტიკებისა და ASPHER-ის რეკომენდაციების გათვალისწინებით.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 10 დეკემბერს თბილისში მერაბ კოსტავას ქუჩა 77ა, შპს „საქართველოს უნივერსიტეტში". 9დეკემბერს, ვიზიტამდე, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შეიკრიბა ექსპერტთა ჯგუფი (დავით ჯიქია, ლელა სტურუა, ვახტანგ თებიძე), განხილული იყო თვითშეფასების ანგარიში. ცენტრის მიერ მოწოდებული ფორმის მიხედვით განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომლებიც დაისვა მომდევნო დღეს ინტერვიუს პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

10 დეკემბერს აღნიშნულ დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში 10 საათიდან დაიწყო სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო ჯგუფის განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა ადმინისტრაციასთან – ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლის დირექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, სტუდენტებთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან. ასევე ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, სააუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, კაბინეტები და ა.შ.) დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის მიზანია მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომელთა პროფესიული საქმიანობა ხელს შეუწყობს ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და გლობალური ჯანმრთელობის გაუმჯობესებასა და კეთილდღეობის ზრდას.

სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს ექნება ღრმა ცოდნა ჯანმრთელობის დეტერმინანტებისა და მათი მართვის შესახებ ადგილობრივ, ქვეყნისა და გლობალურ დონეზე, ის შეძლებს ჯანდაცვის პოლიტიკის მიზნებისა და სტრატეგიების შემუშავებას, განხორციელების ხელშეწყობასა და მიღწეული შედეგების შეფასებას. კურსდამთავრებულს ექნება შესაძლებლობა დასაქმდეს საკანონმდებლო, აღმასრულებელ სტრუქტურებსა და საჯარო ორგანიზაციებში, ასევე საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და ჯანდაცვის პოლიტიკის მიმართულებებზე ორიენტირებულ საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებში, სამედიცინო დაწესებულებებსა და სადაზღვევო კომპანიებში მენეჯერის/ხელმძღვანელის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტის/ანალიტიკოსის შესაბამის პოზიციებზე.

პროგრამა შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიულ გეგმასთან, რაც გულისხმობს საერთაშორისო სტანდარტებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით ქვეყნის ჯანდაცვის პოლიტიკის ობიექტური გზისა და სწორი ბიზნეს პროდუქციის მხარდაჭერას. ამდენად, აღნიშნულ დარგში მაგისტრის კვალიფიკაციის მქონე ადამიანური რესურსის მოთხოვნა ითვალისწინებს სახელმწიფო სტრუქტურებისა და ფონდების მიერ დაფინანსებული კვლევების შედეგების ანალიზს. ბაზრის ეს ასპექტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სფეროს მომავალი შესაძლებლობების შეფასებას/ანალიზსა და შესაბამის რეაგირებას მიზნობრივი შედეგის მხარდასაჭერად. სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შეესაბამება კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს, კერძოდ:

უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე (სამაგისტრო პროგრამა) სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №224/ნ (2011 წლის 29 დეკემბერი) ბრძანების შესაბამისად, შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის (ინგლისური ენა) ჩაბარებისა და სპეციალობაში ზეპირი გასაუბრების შემდეგ ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლისა და რექტორის ბრძანების საფუძველზე.

პროგრამაზე მიიღებიან ჯანდაცვისა და სოციალური კეთილდღეობის ფართო სფეროს ერთსაფეხურიანი და საბაკალავრო პროგრამების შესაბამისი კვლაიფიკაციის მქონე კურსდამთავრებულები.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები სამართლიანია, ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკასა და სწავლის შედეგებს. წინაპირობებისა და პროცედურების შესახებ ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია.

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს. სწავლის შედეგები ძირითადად პასუხობს მაგისტრატურის დონეს, შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.

პროგრამაში შეტანილია მთელი რიგი მნიშვნელოვანი და საყურადღებო ცვლილებები:

- ფართოდაა წარმოდგენილი როგორც მენეჯმენტის თეორიული და მეთოდოლოგიური საბა-ზისო საფუძვლები, ისე ჯანდაცვის ადმინისტრირებისათვის აუცილებელი მიმართულებები: სამედიცინო საქმიანობის და ჯანდაცვის პოლიტიკის საკანონმდებლო ბაზა, ჯანდაცვის სექტორში მოთხოვნა-მიწოდების, კონკურენციის და რეგულირების, ჯანდაცვის ობიექტებში სამედიცინო და სამეურნეო საქმიანობის მართვის ორგანიზების საკითხები და საინფორმაციო სისტემების როლი ჯანდაცვის მენეჯმენტში.
- პროგრამაში არ არის სკოლისა და პროგრამის სავალდებულო საგნების კონცენტრაციები; შეიცვალა სასწავლო კურსების კრედიტთა მოცულობა, მოხდა სპეციფიკურ ცოდნაზე ორიენტირებული ინტერდისციპლინური საკითხების კომბინირება, ჩამოყალიბდა 15 ECTS კრედიტიანი საგნები;
- ჩამოყალიბდა ინტენსიური სწავლების ფორმატი;
- გამრავალფეროვნდა შეფასების მეთოდები. კურიკულუმი უზრუნველყოფს ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ინტეგრირებას, დაცულია სწავლების სპირალური პრინციპი. კერძოდ, სწავლების ჰორიზონტალური პრინციპის უზრუნველსაყოფად პროგრამის კურიკულუმი ითვალისწინებს თანაპირობებს, ხოლო ვერტიკალური პრინციპი დაცულია წინაპირობების მეშვეობით. სასწავლო დისციპლინების სემესტრულად გადანაწილება ძირითადად განაპირობებს წინა სემესტრში შეძენილი ცოდნის გაღრმავებასა და უნარების განვითარებას.

სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს ექნება ღრმა ცოდნა ჯანმრთელობის დეტერმინანტებისა და მათი მართვის შესახებ ადგილობრივ, ქვეყნისა და გლობალურ დონეზე, ის შეძლებს ჯანდაცვის პოლიტიკის მიზნებისა და სტრატეგიების შემუშავებას, განხორციელების ხელშეწყობასა და მიღწეული შედეგების შეფასებას. კურსდამთავრებულს ექნება შესაძლებლობა დასაქმდეს საკანონმდებლო, აღმასრულებელ სტრუქტურებსა და საჯარო ორგანიზაციებში, ასევე საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და ჯანდაცვის პოლიტიკის მიმართულებებზე ორიენტირებულ საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებში, სამედიცინო დაწესებულებებსა და სადაზღვევო კომპანიებში მენეჯერის/ხელმძღვანელის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტის/ ანალიტიკოსის შესაბამის პოზიციებზე.

პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლის შედეგების მიღწევის სტრატეგიას, სწავლების საფეხურს და უზრუნველყოფს მისანიჭებელი კვალიფიკაციისათვის საჭირო ცოდნისა და უნარების განვითარებას..

პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება კვალიფიკაცია საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის პოლიტიკის მაგისტრი. ვიწრო სფერო ჯანდაცვა, სოციალური კეთილდღეობა (09), ფართო სფერო ჯანდაცვა (091), დეტალური სფერო ჯანდაცვა – არაკლასიფიცირებული (0919), კვალიფიკაციის კოდი 0919

საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად სტუდენტმა საჭიროა დააგროვოს 120 ECTS, რაც გულისხმობს პროგრამის ძირითად საგნებს 105 ECTS (მათ შორის სამაგისტრო ნაშრომის შესრულება - 30 ECTS) და არჩევითი საგნის – 15 ECTS, რასაც სტუდენტი ირჩევს შემოთავაზებული საგნების 30 ECTS კრედიტიდან.

სასწავლო კომპონენტი ძირითადად უზრუნველყოფილია ინგლისურენოვანი ლიტერატურით, რომელიც მხარდაჭერილია ელექტრონული ბაზებით, მაგ.: HINARI.

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული, სამეცნიერო, კვლევითი, შემოქმედებითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას. პრაქტიკული უნარების გამომუშავებას უზრუნველყოფს სტაჟირება საზოგადოებრივი ჯანდაცვის სექტორში და ჯანდაცვის ადმინისტრირებაში; სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარებას ხელს უწყობს სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და სამეცნიერო-კვლევით პროექტებში, კონფერენციეში და სხვა აქტივობებში: სემინარები, სოციალური აქტივობა, სამეცნიერო აქტივობები, საჯარო ლექციები, გაცვლითი პროგრამები, სტუდენტების ჩართულობა. ყოველწლიურად ტარდება სტუდენტური კონფერენცია სკოლის სტუდენტები.

საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში გაწერილია სწავლება/სწავლის მეთოდები, რომელიც შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. სწავლა/სწავლების მეთოდოლოგიას საფუძვლად უდევს კვლევებზე დაფუძნებული ცოდნის დაგროვება, გადაცემა, გამოყენება და განვითარება.

პროგრამის მიხედვით სწავლებისას გამოიყენება შემდეგი სწავლის ფორმები: ინტერაქტიული მეცადინეობები, როლური თამაში, მტკიცებულებაზე დაფუძნებული სწავლება, მცირე კვლევების ჩატარება, პოსტერი, პრაქტიკული მუშაობა, ლაბორატორიული მუშაობა, გუნდური მუშაობის მეთოდი/ჯგუფში მუშაობის მეთოდი შემთხვევების შესწავლა და ანალიზი, სიმულაცია. გარდა აღნიშნულისა გამოიყენება ისეთი ტრადიციული მეთოდები, როგორებიცაა: ლექცია-სემინარი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, ვიდეო-აუდიო სწავლების მეთოდი, პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული მეთოდი, ხელძღვანელობა/მენტორობა.

სტუდენტთა შეფასება ხორციელდება დადგენილი კანონმდებლობის მიხედვით გამჭვირვალედ და ობიექტურად.

სტუდენტებთან საკონსულტაციო მომსახურების შესახებ უნივერსიტეტს გააჩნია წინასწარ განსაზღვრული პოლიტიკა, რომელიც ხელს უწყობს მათ ინფორმირებულობას სასწავლო პროცესების მიმდინარეობის და აკადემიური მიღწევების შესახებ. აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი ჩართულია სტუდენტების მხარდასაჭერად სასწავლო კურსების შერჩევაში და მათი თანმიმდევრობის განსაზღვრაში.

პროგრამა დაკომპლექტებულია კვალიფიციური პერსონალით. მათ გააჩნიათ სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავების კომპეტენცია. პროგრამის განმახორციელებელი პირების დატვირთვა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე ითვალისწინებს სტუდენტების კონსულტაციებს.

უნივერსიტეტი უზრუნველყობს კვალიფიციური პერსონალის მოზიდვასა და მათ შენარჩუნებას. დასაქმებულთა მოლოდინები უწყევტ პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებით მეტწილად დაკმაყოფილებულია.

სასწავლო პროგრამაში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალი ჩართულია სხვადასხვა სამეცნიერო/კვლევით საქმიანობაში, რაც მხარდაჭერილია მეტწილად უნივერსიტეტის მიერ.

უნივერსიტეტის სასწავლო აუდიტორიები და კაბინეტები აღჭურვილია თანამედროვე მოწყობილობებითა და ინვენტარით, ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემით, ცენტრალიზებური გათბობის სისტემით. უნივერსიტეტს გააჩნია ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერული კლასები.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს გააჩნია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა ინსტიტუციური სისტემა, რომელიც მონაწილეობს უნივერსიტეტის საქმიანობის დაგეგმვის, მართვის, მონიტორინგის და განვითარების პროცესებში. პროგრამის განხორციელების შეფასების შედეგად უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან თანამშრომლობით შეიმუშავებს კონკრეტულ რეკომენდაციებს პროგრამის განხორციელების შემდგომი სრულყოფის მიზნით. რეკომენდაციები წარედგინება პროგრამის განვითარების და აკადემიურ საბჭოებს.

- რეკომენდაციები
  - რეკომენდებულია ქართულენოვანი საგანმანათლებლო ლიტერატურის დამატება, თუნდაც „რიდერების“ ან „ჰენდაუთების“ ან სალექციო მასალის სახით.
  - რეკომენდებულია სილაბუსებში მითითებული სასწალო-სამეცნიერო ლინკების პერიოდულად შემოწმება და გასწორება.
  - საჭიროა შეფასების სისტემაში აღწერილი იყოს სტუდენტების რეფერატებისა და დავალებების შეფასების მეთოდოლოგია და პროცედურა, კერძოდ, ვის მიერ განხორციელდება დავალებების შეფასება, რამდენი სპეციალისტი იქნება ჩართული ამ პროცესში და რა იქნება მათი წილი საბოლოო შეფასებაში.
- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
  - სასურველია სტუდენტების დავალებების შეფასება განხორციელდეს ერთზე მეტი შემფასებლის მიერ, რაც აღწერილი იქნება შეფასების სისტემაში.
  - სასურველია ბიბლიოთეკის ერთიანი საძიებო სისტემა იყოს მოქნილი და მარტივად ხდებოდეს სახელმძღვანელოების ძიების პროცესი.
- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
  - პროგრამაში შევიდა ცვლილებები: პროგრამაში არ არის სკოლისა და პროგრამის სავალდებულო საგნების კონცენტრაციები; შეიცვალა სასწავლო კურსების კრედიტთა მოცულობა, მოხდა სპეციფიკურ ცოდნაზე ორიენტირებული ინტერდისციპლინური საკითხების კომბინირება, ჩამოყალიბდა 15 ECTS კრედიტიანი საგნები; ჩამოყალიბდა ინტენსიური სწავლების ფორმატი; გამრავალფეროვნდა შეფასების მეთოდები. კურიკულუმი უზრუნველყოფს ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ინტეგრირებას, დაცულია სწავლების სპირალური პრინციპი. კერძოდ, სწავლების ჰორიზონტალური პრინციპის უზრუნველსაყოფად პროგრამის კურიკულუმი ითვალისწინებს თანაპირობებს, ხოლო ვერტიკალური პრინციპი დაცულია წინაპირობების მეშვეობით. სასწავლო დისციპლინების სემესტრულად გადანაწილება ძირითადად განაპირობებს წინა სემესტრში შეძენილი ცოდნის გაღრმავებასა და უნარების განვითარებას.

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
| --- |
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>პროგრამის მიზანია საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის პოლიტიკის დარგში მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომელთა პროფესიული საქმიანობა ხელს შეუწყობს ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და გლობალური ჯანმრთელობის გაუმჯობესებასა და კეთილდღეობის ზრდას. სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს ექნება ღრმა ცოდნა ჯანმრთელობის დეტერმინანტებისა და მათი მართვის შესახებ ადგილობრივ, ქვეყნისა და გლობალურ დონეზე, ის შეძლებს ჯანდაცვის პოლიტიკის მიზნებისა და სტრატეგიების შემუშავებას, განხორციელების ხელშეწყობასა და მიღწეული შედეგების შეფასებას. კურსდამთავრებულს ექნება შესაძლებლობა დასაქმდეს საკანონმდებლო, აღმასრულებელ სტრუქტურებსა და საჯარო ორგანიზაციებში, ასევე საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და ჯანდაცვის პოლიტიკის მიმართულებებზე ორიენტირებულ საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებში, სამედიცინო დაწესებულებებსა და სადაზღვევო კომპანიებში მენეჯერის/ხელმძღვანელის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტის/ ანალიტიკოსის შესაბამის პოზიციებზე.<br>პროგრამის მიზანი შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, რაც გულისხმობს კონკურენტუნარიანი კვალიფიკაციური კადრის მომზადებას, რომელიც ადვილად დასაქმდება ადგილობრივ შრომით ბაზარზე თავის კვალიფიკაციის შესაბამისად.<br>პროგრამის ამოცანაა მოამზადოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტები, რომელთა პროფესიული საქმიანობა ხელს შეუწყობს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ეფექტურობის ზრდას და მისი მთავარი მიზნის მიღწევას - მოსახლეობის კეთილდღეობისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესებას.<br>ასევე სამაგისტრო პროგრამის ამოცანაა  კურსდამთავრებულს ჰქონდეს ღრმა ცოდნა ჯანმრთელობის დეტერმინანტებისა და მათი მართვის შესახებ ადგილობრივ, ქვეყნისა და გლობალურ დონეზე, რაა შეძლოს ჯანდაცვის პოლიტიკის მიზნებისა და სტრატეგიების შემუშავება, განხორციელოს ხელშეწყობა და მიღწეული შედეგების შეფასება. კურსდამთავრებულს ექნება შესაძლებლობა დასაქმდეს საკანონმდებლო, აღმასრულებელ სტრუქტურებსა და საჯარო ორგანიზაციებში, ასევე საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და ჯანდაცვის პოლიტიკის მიმართულებებზე ორიენტირებულ საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებში, სამედიცინო დაწესებულებებსა და სადაზღვევო კომპანიებში მენეჯერის/ხელმძღვანელის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტის/ანალიტიკოსის შესაბამის პოზიციებზე.<br>პროგრამის მიზნები რეალისტური და მიღწევადია და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებას ითვალისწინებს პროგრამა. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ სამაგისტრო პროგრამა; |

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- საქართველოს უნივერსიტეტის ვებ გვერდი https://www.ug.edu.ge;
- სამაგისტრო სწავლების დებულება;
- ინტერვიუები ადმინისტრაციის, ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენლებთან და პროგრამის ხელმძღვანელთან.

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები სრულად შეესაბამება პროგრამის მიზნებს და შინაარსით გათვალისწინებულ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას. აგრეთვე შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციასა და სასწავლო საფეხურს. პროგრამის შედეგები გაწერილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №69/ნ ბრძანებით განსაზღვრული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლების სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით.

სწავლის შედეგები იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. პროგრამის სწავლის შედეგები შემუშავებულია პროგრამაში ჩართული აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული პერსონალის, დაინტერესებული მხარეების გუნდური მუშაობითა და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით. პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე სწავლის შედეგების მიღწევისათვის გამოიყენება სწავლების შემდეგი მეთოდები: ვერბალური და ინტერაქციული სწავლების მეთოდი; წიგნზე, ლიტერატურაზე მუშაობის მეთოდი; სისტემური, კრიტიკული, კომპარატივისტული ანალიზის მეთოდი; რაოდენობრივი და ხარისხობრივი კვლევის მეთოდი; სამეცნიერო წერითი მუშაობის მეთოდი; პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული ქეისების შესრულება; დამოუკიდებლად კვლევის დიზაინის შექმნა;

სწავლის შედეგები ითვალისწინებს სფეროს თეორიული ცოდნის, მისი პრაქტიკული იმპლემენტაციის, აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან კომუნიკაციური, ასევე ანალიტიკური და აუცილებელი სოციალური უნარების განვითარებას.საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის ძირითადი ამოცანაა უზრუნველყოს ისეთი კადრის მომზადება, რომელსაც ექნება:

- საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, ჯანდაცვის სისტემისა და პოლიტიკის ღრმა, სისტემური ცოდნა, გააცნობიერებს მათ ურთიერთმიმართების როგორც პირდაპირ, ასევე არაპირდაპირ კავშირებს, საზოგადოებრივი ჯანმრთელობასა და ჯანდაცვის პოლიტიკის სფეროებში პრობლემების გადაჭრის გზებს, მართვის ორიგინალურ იდეებსა და კომპლექსურ მექანიზმებს,
- გლობალური და საერთაშორისო ჯანმრთელობის, მისი დეტერმინანტების, რეგიონების, ქვეყნებისა და ლოკალური არეალების დონეებზე კომპექსური მახასიათებლების შესახებ ცოდნა და გაცნობიერებული ცვლილებათა საჭიროებანი,
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის სერვისების პაციენტზე, მიზნობრივ ჯგუფებსა და პოპულაციაზე ორიენტაციისა და პაციენტთა უფლებების დაცვის სისტემური ცოდნა;
- ადმინისტრაციული ურთიერთობების სპეციფიკის, მმართველობის ცნებისა და ადმინისტრაციული ორგანოების სპეციალური უფლებამოსილებების პრინციპების, მენეჯერული ეკონომიკის სფეროსა და ჯანდაცვის ეკონომიკის სისტემური ცოდნა.
- ჯანდაცვის პოლიტიკისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გლობალურ თუ ქვეყნის დონეზე არსებულ უახლეს მონაცემთა საფუძველზე ინფორმაციის ინოვაციური სინთეზის უნარი
- საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სისტემებში, საზოგადოებრივი, შერეული და ინდივიდუალური ჯანმრთლეობის დაცვის სერვისების ფორმირება–მიწოდებაში, ჯანმრთელობის დეტერმინანატების არაკეთილსაიმედო ზეგავლენის და სხვა კომპლექსური პრობლემების დამოუკიდებლად კვლევისა და იდენტიფიკაციის, მტკიცებულებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების შემუშავების უნარი;
- ახალ და მულტიდისციპლინურ გარემოში, საჭირო ჯანდაცვითი პოლიტიკისა და ღონისძიებების შემუშვებისა და მართვის უნარი;
- საერთაშორისო და გლობალურ ჯანმრთელობის სფეროებში (აივ/ინფექცია შიდსი, წამალთდამოკიდებულება, თამბაქოს მწეველობა, ტრავმტიზმი, ინფექციური დაავადებების გავრცელება–მართვა და სხვა) უახლეს მიღწევების ქვეყნის პოლიტიკაში ასახვისა და ინტეგრირების უნარი;
- მონაცემთა და ინფორმაციის სისტემატიზაციის, კრიტიკული ანალიზის, რაოდენობრივი და თვისობრივი შეფასების გზით მტკიცებულებებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებათა მიღების უნარი;
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემურ თუ კერძო საკითხებზე კომპლექსური და რიგ შემთხვევებში არასრული მონაცემების (ეპიდემიოლოგიური, ჯანდაცვითი და

მმართველობითი) კრიტიკული ანალიზის საშუალებით მტკიცებულებზე დაფუძნებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი;

- ასიმეტრიული ინფორმაციის ეკონომიკურ საქმიანობაზე გავლენის კრიტიკული ანალიზისა და დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების, აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის სამართლებრივი ფორმების შედარებით-სამართლებრივი ანალიზის უნარი.
- საქართველოს და საერთაშორისო როგორც აკადემიურ, ასევე ჯანდაცვის დარგში მომუშავე პროფესიონალურ წრეებში საკუთარი იდეების, კვლევის მეთოდების, დასკვნებისა და არგუმენტების ზეპირსიტყვიერად, წერილობით (რეფერატების, სტატიების და სხვა), წარდგენის უნარი
- საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის პოლიტიკაში ლიტერატურული წყაროსა და მონაცემების კრიტიკულად შეფასების უნარი, არსებული უახლესი თემატური საკითხების დამოუკიდებლად გარჩევისა და სწავლის უნარი,
- უნარი, ცოდნის განახლებისა და უწყვეტი განათლების მიზნით, სტრატეგიულად დაგეგმოს სასწავლო პროცესი და დარგობრივი სასწავლო მიმართულებები,
- აქვს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში აღიარებული ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანის უნარი ახალი სტანდარტების შემუშავების, გარემოს ფორმირებისა და მონიტორინგის გზით.

პროგრამის განვითარების პროცესში აქტიურად არის ჩართული აკადემიური პერსონალი, რომელიც ყოველი სემესტრის ბოლოს მართავს შეხვედრებს სწავლის შედეგების შეფასების და სხვა მიმდინარე საკითხების განხილვის მიზნით. იმართება მოწვეულ პერსონალთან საკონსულტაციო შეხვედრები, ანალიზდება ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, ხდება მომდევნო სემესტრებში განსახორციელებელი აქტივობების დაგეგმვა.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცედურა შემდეგნაირია: სასწავლო დისციპლინის შედეგების პირდაპირი შეფასების მიზნით, აკადემიური სემესტრის დასასრულს აკადემიური და მოწვეული პერსონალი უზრუნველყოფს სასწავლო კურსის შედეგების მიღწევის ანგარიშის მომზადებას სტუდენტთა სწავლის შედეგების მიღწევის ანალიზის საფუძველზე, რომელიც ხორციელდება Bell-curve გრაფიკისა (ე.წ. გაუსის დიაგრამა) და პირდაპირი შეფასების სხვა მეთოდების მეშვეობით. აკადემიური და მოწვეული პერსონალი ვალდებულია ანგარიში წარუდგინოს საგნის კურატორს, საგნის კურატორი კი უზრუნველყოფს ანგარიშის საბოლოო ფორმირებას სასწავლო კურსის განხორციელებაში ჩართულ პირებთან ერთად და წარუდგენს პროგრამის ხელმძღვანელს. პროგრამის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს სასწავლო პროგრამის ფარგლებში არსებული სასწავლო დისციპლინების ანგარიშებისა და არაპირდაპირი შეფასების შედეგების წარდგენას პროგრამის განვითარების საბჭოსათვის.

პროგრამის განვითარების საბჭო ანგარიშის მოსმენისა და რეაგირების მიზნით იკრიბება მომდევნო აკადემიური სემესტრის დაწყებამდე. პროგრამის განვითარების საბჭო პროგრამის შედეგების შეფასების ანგარიშის განხილვის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში იმუშავებს რეკომენდაციებს და იღებს გადაწყვეტილებებს შემდგომი ღონისძიებების შესახებ. აღნიშნული პროცესების ფარგლებში ხორციელდება სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულების შეფასება და განსაზღვრა. პროცესს მონიტორინგს უწევს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამაგისტრო პროგრამა;
- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- საქართველოს უნივერსიტეტის ვებ გვერდი https://www.ug.edu.ge;
- სამაგისტრო სწავლების დებულება;
- ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია;
- სასწავლო და სამეცნიერო პერსონალის დებულება,

https://www.ug.edu.ge/storage/documentations/May2019/SWf1qxRi5z2DYRhsSRiN.pdf

- პერსონალის კვლევა სერვისებთან დაკავშირებით;

| |
|---|
| ○ პერსონალის პროდუქტიულობის შეფასების სისტემა,<br>○ ინტერვიუები ადმინისტრაციის, ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენლებთან და პროგრამის ხელმძღვანელთან. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის | ✓ | | | |

| შესაბამისობა | | | | |
|---|---|---|---|---|

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

### 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

შპს საქართველოს უნივერსიტეტში სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შეესაბამება კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს. კერძოდ, სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №224/ნ (2011 წლის 29 დეკემბერი) ბრძანების შესაბამისად, შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის (ინგლისური ენა) ჩაბარებისა და სპეციალობაში ზეპირი გასაუბრების შემდეგ ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლისა და რექტორის ბრძანების საფუძველზე; პროგრამაზე მიიღებიან ჯანდაცვისა და სოციალური კეთილდღეობის ფართო სფეროს ერთსაფეხურიანი და საბაკალავრო პროგრამების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კურსდამთავრებულები.
სამაგისტრო პროგრამებზე სტუდენტთა მიღების შესახებ ინფორმაცია თავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. აღნიშნული მოიცავს საკვლევი თემატიკისა და მისაღები მაგისტრანტების რაოდენობის შესახებ ინფორმაციას.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სამართლიანია და გამორიცხავს რაიმე სახის დისკრიმინაციას ან არათანაბარ პირობებს. პროგრამაზე დაშვების წინაპირობებისა და პროცედურების შესახებ ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია, რაც უზრუნველყოფილია საქართველოს უნივერსიტეტისა და ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლის ვებ-გვერდების, უნივერსიტეტისა და ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლის Facebook-ის გვერდისა და საჯაროდ განთავსებული საგანმანათლებლო პროგრამის მეშვეობით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამაგისტრო პროგრამა: საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და ჯანდაცვის პოლიტიკა
- მაგისტრატურის დებულება
- ინტერვიუები ადმინისტრაციის, ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენლებთან და პროგრამის ხელმძღვანელთან. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- უნივერსიტეტის ვებ.გვერდი https://www.ug.edu.ge/ge/programs/2

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სამაგისტრო პროგრამა შემუშავებულია საქართველოს უნივერსიტეტში მოქმედი ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქციის გათვალისწინებით. ხორციელდება უწყვეტი ხარისხის კონტროლი, რისთვისაც გამოიყენება შეფასების სხვადასხვა მექანიზმი, მათ შორის სტუდენტთა სემესტრული აკადემიური მოსწრების ანალიზი, სტუდენტთა და პროგრამაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პედაგოგთა გამოკითხვები, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის მიერ უზრუნველყოფილი სწავლების ხარისხის შეფასება, სხვ.

პროგრამაში შევიდა ცვლილებები: პროგრამაში არ არის სკოლისა და პროგრამის სავალდებულო საგნების კონცენტრაციები; შეიცვალა სასწავლო კურსების კრედიტთა მოცულობა, მოხდა სპეციფიკურ ცოდნაზე ორიენტირებული ინტერდისციპლინური საკითხების კომბინირება, ჩამოყალიბდა 15 ECTS კრედიტიანი საგნები; ჩამოყალიბდა ინტენსიური სწავლების ფორმატი; გამრავალფეროვნდა შეფასების მეთოდები. კურიკულუმი უზრუნველყოფს ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ინტეგრირებას, დაცულია სწავლების სპირალური პრინციპი. კერძოდ, სწავლების ჰორიზონტალური პრინციპის უზრუნველსაყოფად პროგრამის კურიკულუმი ითვალისწინებს თანაპირობებს, ხოლო ვერტიკალური პრინციპი დაცულია წინაპირობების მეშვეობით. სასწავლო დისციპლინების სემესტრულად გადანაწილება ძირითადად განაპირობებს წინა სემესტრში შეძენილი ცოდნის გაღრმავებასა და უნარების განვითარებას.

პროგრამის თითოეული კურსი ითვალისწინებს შეფასების შესაბამის მეთოდებს, როგორებიცაა:

კრიტიკული ანალიზი, რეფერატი, პროექტი, პრეზენტაცია, საშინაო დავალება, შემთხვევის ანალიზი და პოსტერის მომზადება.

პროგრამის კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო დისციპლინების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მისანიჭებელი კვალიფიკაციისათვის საჭირო ცოდნისა და უნარების განვითარებას. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეეაბამება სწავლების საფეხურს.

პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება კვალიფიკაცია საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის პოლიტიკის მაგისტრი. ფართო სფერო ჯანდაცვა, სოციალური კეთილდღეობა (09), ვიწრო სფერო ჯანდაცვა (091), დეტალური სფერო ჯანდაცვა – არაკლასიფიცირებული (0919), კვალიფიკაციის კოდი 0919.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად სტუდენტმა საჭიროა დააგროვოს 120 ECTS, რაც გულისხმობს პროგრამის ძირითად საგნებს 105 ECTS (მათ შორის სამაგისტრო ნაშრომის შესრულება - 30 ECTS) და არჩევითი საგნის – 15 ECTS, რასაც სტუდენტი ირჩევს შემოთავაზებული საგნების 30 ECTS კრედიტიდან.

სასწავლო კომპონენტი ძირითადად უზრუნველყოფილია ინგლისურენოვანი ლიტერატურით, რომელიც მხარდაჭერილია ელექტრონული ბაზებით, მაგ.: HINARI.

პროგრამის შინაარსი, ECTS კრედიტების მოცულობა, თეორიული და პრაქტიკული სწავლების კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კურიკულუმი შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 ბრძანებასთან და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემასთან.

საქართველოს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილების საფუძველზე, პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდაჭერის მიზნით შეიქმნა პროგრამის განვითარების საბჭო (შემდგომში: საბჭო) (2018 წელი დეკემბერი), რომლის წევრები არიან პროგრამის ხელმძღვანელები, პროგრამაში ჩართული პერსონალი, ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებზე პასუხისმგებელი თანამშრომელი, სტუდენტი, კურსდამთავრებული და დამსაქმებელი.

პროგრამის განვითარების საბჭო წარმოადგენს შიდა ხარისხის უწყვეტი სრულყოფის მექანიზმის ნაწილს.

პროგრამა დამუშავებულია საქართველოს უნივერსიტეტში მოქმედი ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქციის გათვალისწინებით, განხორციელებულია უწყვეტი ხარისხის კონტროლი, რისთვისაც გამოიყენება შეფასების პირდაპირი და ირიბი მექანიზმები. ასევე, სტუდენტთა და პროგრამაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პედაგოგთა გამოკითხვების ანალიზი, რაც წარმოადგენს პროგრამაში ცვლილებების განხორციელების საფუძველს.

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და ჯანდაცვის პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამას მნიშვნელოვან მხარდაჭერას უცხადებს ჩრდილოეთ არქტიკის უნივერსიტეტი (ნორვეგიის სამეფო, ტრომსო), რომელთანაც აქტიური თანამშრომობა 2009 წლიდან დაიწყო (განათლების სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ნორვეგიული ცენტრის - DIKU (ყოფილი SIU-ის) ფარგლებში). წარმატებული კოლაბორაციის შედეგად 2015 წლის 11 ივნისს უნივერსიტეტებს შორის გაფორმდა ურთიერთთანა-მშრომლობის მემორანდუმი.

ნორვეგიულ პროექტში თანამშრომლობის ფარგლებში სწავლება და ტრენინგები გაიარეს საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის პოლიტიკის პროგრამის მაგისტრანტებმა.

აკადემიური პერსონალი ესწრებოდა ნორვეგიელ პარტნიორთა სწავლებებს როგორც საქართველოში, ასევე ტრომსოში (ნ. ლანდია /2017 ტრომსო, გ. კამკამიძე 2018/ლოპოტა).

SIU/Diku Georgian-Norwegian Collaborative in Public Health პროექტისა და უნივერსიტეტის ფინანსური მხარდაჭერით აღიჭურვა სტატისტიკური პროგრამების სწავლების კომპიუტერული ლაბორატორია, შესყიდულ იქნა ლიცენზირებული SPSS-ის პაკეტები.

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა ორიენტირებულია შრომის ბაზრის მოთხოვნაზე, მოქნილია, თანმიმდევრული, პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოს პროგრამით გათვალისწინებული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას და აგებულია საქართველოს კანონმდებლობის წესის, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მაგისტრატურის აღმწერისა და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამაგისტრო პროგრამა: საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და ჯანდაცვის პოლიტიკა,
- სილაბუსები
- განათლების საკვალიფიკაციო ჩარჩო
- დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან

**რეკომენდაციები:**

-

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

-

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის პოლიტიკის პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს ძირითადი მიმართულების სავალდებულო (105 ECTS), პროგრამის არჩევით (15 ECTS 30-დან) სასწავლო კურსებს. სასწავლო კურსების სწავლის შედეგები მეტწილად წარმოადგენს პროგრამის სწავლის შედეგის ნაწილს და შეესაბამება როგორც შინაარსს, ასევე ECTS კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სახელმძღვანელო პრინციპებს, აგრეთვე, კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრულ კრედიტების განაწილებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს და გამომდინარეობს სტუდენტის დატვირთვიდან და ასათვისებელი მასალის მოცულობიდან.

პროგრამაში განხორციელდა ინტერდისციპლინური საკითხების კომბინირება და ჩამოყალიბდა 15 ECTS კრედიტიანი საგნები (ამ დატვირთვის პირობებში დამოუკიდებელი მუშაობის საათები 3 საგანში: ეპიდემიოლოგია და ბიოსტატისტიკა, კვლევის მეთოდები; საზოგადოებრივი ჯანდაცვა და პოლიტიკა და ჯანდაცვის მენეჯმენტი და ეკონომიკა შეადგენს 312 საათს. 2 საგანში: გარემოს ჯანმრთელობა და პოლიტიკა და ქცევების ცვლილებები და ჯანმრთელობის ხელშეწყობა – 324 საათს. 1 საგანში: კვლევის პრაქტიკუმი საზოგადოებრივ ჯანდაცვაში – 328 საათს. 1 საგანში: გლობალური ჯანმრთელობა – 282 საათს). მაგალითად, საგანი საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ჯანდაცვის პოლიტიკა – მასში გაერთიანებულია შემდეგი თემები: მოსახლეობის ჯანმრთელობა და ჯანმრთელობის დეტერმინანტები, ჯანდაცვის პოლიტიკა. თეორია და კონტექსტი, სტრატეგიები. გლობალური ჯანმრთელობის განვითარების მიმართულებები, ჯანდაცვის საინფორმაციო სისტემები განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში , ინფორმაციის გავრცელება და შეფასება, დემოგრაფია. სოციოლოგია და ფსიქოლოგია საზოგადოებრივ ჯანმრთელობაში. ჯანმრთელობის ხელშეწყობა და ჯანმრთელობის განათლება და სხვ. საგანი ეპიდემიოლოგია და ქიოსტატისტიკა, კვლევის მეთოდები – მასში გაერთიანებულია თემები: გაზომვა, კვლევის სახეები, სიხშირის განაწილება, შემაჯამებელი სტატისტიკა, ალბათობის კონცეფციები, ბინომიალური, ალბათობის განაწილება, სავარაუდო ნორმალური განაწილება, სტატისტიკური დასკვნის შესავალი, ჰიპოთეზის ტესტირება, სანდოობის ინტერვალის საფუძვლები, ინტერფერენცია პროპორციების შესახებ, ორი პროპორციის შედარება და სხვ, ასევე, ეპიდემიოლოგიური დამოკიდებულება დაავადებისა და ინტერვენციისადმი, დაავადებათა ზედამხედველობა. ავადობა, სიკვდილობა და დაავადებათა სხვა საზომები. სადიაგნოსტიკო ტესტების ვალიდურობის შეფასება, რანდომიზებული კვლევა, რიკის შეფასება, ასოციაციები, პრევენციის პოტენციალის შეფასება და სხვ.

პროგრამის სასაწავლო კურსებს სემესტრების შესაბამისად და საგნებში თემების რიგითობას გააჩნია თანმიმდევრული ლოგიკურად აგებული სტრუქტურა. თითოეულ სასწავლო კომპონენტზე დაშვების წინაპირობები და თანაპირობები ლოგიკურად არის შემუშავებული. პროგრამის სტრუქტურა ადეკვატურია სტუდენტისთვის და ადვილად აღსაქმელი.

საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო საგნების სწავლის შედეგები სრულ შესაბამისობაშია აღნიშნული სასწავლო კომპონენტების შინაარსთან, პროგრამის სწავლის შედეგებთან და უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურთან

სასწავლო კურსის სილაბუსები უზრუნველყოფილია, უახლესი და კლასიკური და თანამედროვე სწავლებაში აღიარებული ლიტერატურა. ლიტერატურა ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის და განთავსებულია UG ბიბლიოთეკაში. სტუდენტს, მის ელექტრონულ ბაზაში, „ჩემი UG"-ს მეშვეობით, აქვს შესაძლებლობა შეუკვეთოს სილაბუსში წარმოდგენილი სახელმძღვანელოების ქსეროასლები, ან შეიძინოს UG წიგნების მაღაზიაში. ასევე, სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები ელექტრონული და მატერიალური ფორმით, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები: HINARI, HeinOnline. თუმცა ზოგიერთ სილაბუსში მითითებული ლინკები მოძველებულია, საჭიროებს პერიოდულ შემოწმებას და განახლებას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამაგისტრო პროგრამა;

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- სწავლის შედეგების რუქა;
- საბიბლიოთეკო სერვისის შემოწმება;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდებულია ქართულენოვანი საგანმანათლებლო ლიტერატურის დამატება, თუნდაც „რიდერების“ ან „ჰენდაუთების“ ან სალექციო მასალის სახით.
- რეკომენდებულია სილაბუსებში მითითებული სასწავლო -სამეცნიერო ლინკების პერიოდულად შემოწმება და გასწორება.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

-

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული, სამეცნიერო, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას.

სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარებას ხელს უწყობს სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და სამეცნიერო-კვლევით პროექტებში, კონფერენციეში და სხვა აქტივობებში: სემინარები, სოციალური აქტივობა, სამეცნიერო აქტივობები, საჯარო ლექციები, გაცვლითი პროგრამები, სტუდენტების ჩართულობა. ყოველწლიურად ტარდება სტუდენტური კონფერენცია.

უნივერსიტეტი ხელს უწყობს კვლევითი უნარების განვითარებას. კერძოდ, საქართველოს უნივერსიტეტის ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლაში დაწესებულია სტუდენტთა სამეცნიერ-კვლევითი განვითარების გრანტი, რომლის ჯამური ბიუჯეტი განისაზღვრება 59.415 ლარით. აღნიშნული გრანტის ფარგლებში სტუდენტებს, ობიექტური და გამჭვირვალე კრიტერიუმების მეშვეობით, აქვთ შესაძლებლობა წარმოადგინონ თავიანთი კვლევითი პროექტები და მიიღონ შესაბამისი მხარდაჭერა.

მაგისტრანტები ასრულებენ კვლევაზე დაფუძნებულ სამაგისტრო ნაშრომებს, ასევე სასწავლო კურსში გათვალისწინებულია მცირე კვლევის ჩატარება და სტატისტიკურ პროგრამებში სამოდელო შედეგების მიღება; უნივერსიტეტი უზრუნველყოფს მაგისტრანტის სამეცნიერო აქტივობებში მონაწილეობას და ფინანსურ/ საინფორმაციო მხარდაჭერას. დებულების თანახმად, კონკრეტული საკითხების საკვლევად, ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლა გამოყოფს კვლევით გრანტებს; ასევე, ხდება დამატებითი ფონდების ძიება.

